შ.პ.ს. "სეისმომედეგი პროექტირების და ესჭპერტიზის ცენტრი"

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ.თბილისი, კრწანისის ჭუჩა #22-24-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის "ბ" და "დ" ბლოკზე ერთი სართილის დაშენების მოწყობის ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ

ქ. თბილისი 2012 წელი

შ.პ.ს. "სეისმომედეგი პროექტირების და ესჭპერტიზის ცენტრი"

ქ. თბილისი 26 ოქტომბერი 2012 წელი

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ.თბილისი, კრწანისის ქუჩა #22-24-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის "ბ" და "დ" ბლოკზე ერთი სართილის დაშენების მოწყობის ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ

მოქალაქეების ვასილ ვერულაშვილის, ნატალია დავითაშვილის, დავით გიორგობიანის დაკვეთით სეისმომედეგი პროექტირების და ესჭპერტიზის ცენტრის თანამშრომლების მიერ ვიზუალურად შესწავლილი იქნა ქ.თბილისი, კრწანისის ქუჩა №22-24-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა ბ და დ ბლოკზე ერთი სართილის დაშენების მოწყობის ტექნიკური შესაძლებლობის მიზნით, დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ესკიზური ნახაზის მიხედვით. (იხ. ფოტო)

ექვსსართულიანი საცხოვრებელი სახლი სარდაფით (სურ.1), რომელიც გეგმაში მართკუთხედის მოხაზულობისაა წარმოადგენს კარკასული ტიპის შენობას, სვეტები (40X40; 40X50სმ) რიგელები - (40X50სმ); სართულშუა გადახურვის კონსტრუქცია გადაწყვეტილია 16 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის ფილის ვარიანტში, კარკასის შევსება შესრულებულია წვრილი სამშენებლო ბლოკების საშუალებით, საძირკლები წერტილოვანია შეკრული რანდკოჭებით, კიბეები მონოლითური რკინაბეტონისაა. შენობას გააჩნია ბრტყელი სახურავი.

ჩატარებულმა ვიზუალურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ საცხოვრებელი სახლის აშენების ხარისხი დამაკმაყოფილებელია, მის მზიდ და არამზიდ კონსტრუქციებს არ გააჩნიათ დეფორმაციის ან დაზიანების რაიმე მნიშვნელოვანი ნიშანი და შენობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდები გარემოება, კერძოდ შენობას პერიმეტრზე არ გააჩნია ბეტონის მოკირწყვლა, რომელიც გამორიცხავს ფუძე საძირკვლებში ატმოსფერული ნალექების მოხვედრას და შეიმჩნევა კიდეც ატმოსფერული ნალექების ჩადინების კვალი (იხ. ფოტო), რომელიც შენობის შემდგომი უსაფრთხო ექსპლუატაციის თვალსაზრისით სახიფათოა.

აღნიშნულიდან გამომდინარე სეისმომედეგი პროექტირების და ესპერტიზის ცენტრს ტექნიკური თვალსაზრისით დასაშვებად მიაჩნია ქთბილისი, კრწანისის ქუჩა №22-24-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ბ და დ ბლოკზე დამატებითი ერთი სართულის დაშენება მსუბუქი კონსტრუქციების გამოყენებით, სპეციალურად ამ მიზნით დამუშავებული და გაანგარიშებული პროექტით, სადაც აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს არსებული ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები და შენობის პერიმეტრზე წყალარინების სისტემის მოწყობა.

პროექტი შეთანხმებულ უნდა იქნეს შესაბამის სამსახურებთან

ცენტრის დირექტორი ბ. ბერძენიშვილი

ცენტრის ექსპერტი

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ა. ბერძენიშვილი





















































